ა ნ გ ა რ ი შ ი

გორის რაიონულ სასამართლოსა და გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში კასპის მუნიციპალიტეტში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით 2023 წლის 27 დეკემბრიდან 2024 წლის 9 დეკემბრამდე შემოსული განცხადებების შესახებ

ქ. გორი

9 დეკემბერი 2024 წელი

გორის რაიონულ სასამართლოში 2023 წლის 27 დეკემბრიდან 2024 წლის 9 დეკემბრამდე შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით 35(ოცდა თხუთმეტი) განცხადება. აქედან, სრულად დაკმაყოფილდა 8(რვა), დაკმაყოფილდა ნაწილობრივ 9(ცხრა) და 17(თხუთმეტი) განცხადების ავტორს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ეთქვა უარი, 1(ერთი) განცხადება განხილვის ეტაპზეა.

გასაჩივრდა 3(სამი) გადაწყვეტილება, აქედან 1(ერთი) შეწყდა და 2(ორი) დაკმაყოფილდა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში გამოყენებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3, 28-ე და 44-ე მუხლები. ასევე, საქართველოს კანონი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ".

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები გაცემულია ნატალია ძურძუკის (გორის რაიონული სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი) და ალექსანდრე ტლაშაძის (გორის რაიონული სასამართლოს მენეჯერი) მიერ.

გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში კასპის მუნიციპალიტეტში განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსულია 1(ერთი) და არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

გორის რაიონულ სასამართლოსა და გორის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში კასპის მუნიციპალიტეტში მოხელეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია და შესაბამისად, პასუხისმგებელი პირების მიმართ დისციპლინური სასჯელი არ გამოყენებულა.

ნატალია ძურძუკი

გორის რაიონული სასამართლოს
საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი